პროექტი

„ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი"

პროექტის იდეის ავტორი: ანი ფიფია

მე-12 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

„ვისწავლოთ და გავაცოცხლოთ ერთად“

„ვისწავლოთ და გავაცოცხლოთ ერთად“ პროექტი მოიცავს საგანმანათლებლო აქტივობებს აფხაზი და ქართველი ახალგაზრდების მონაწილეობით. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს აფხაზეთის საკულტო რესტორანი „ამრა“-ს რეაბილიტაციას ახალგაზრდების მიერ პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე. „ვისწავლოთ და გავაცოცხლოთ ერთად“ ითვალისწინებს 3D გრაფიკისა და კომპიუტერული უნარების კურსებს, რომლის დასრულებისას მონაწილეები შეძლებენ 3D გრაფიკით ერთად გააცოცხლონ რესტორანი „ამრა". კურსს გაუძღვებიან 3D გრაფიკისა და კომპიუტერული უნარების კვალიფიციური სპეციალისტები შეხვედრების ჩატარება კი შესაძლებელი იქნება ჰიბრიდულ რეჟიმში.

რესტორანი „ამრა“ 1960 წელს აშენდა მიხაილ ბგაჟბას ინიციატივით. დროთა განმავლობაში ის სოხუმის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა და ხშირად მას „ზღვაზე მოლივლივეს“ უწოდებდნენ, რადგან ის ზღვაშია შეჭრილი. რესტორნის ზედა ტერასაზე ხშირად იკრიბებოდნენ გამოჩენილი მხატვრები და მწერლები. აფხაზეთის საკულტო რესტორანი უკვე წლებია დაიხურა, რადგან მისკენ მიმავალი ნავმისადგომის ნაწილი მოულოდნელად ჩამოინგრა. რესტორანი უკიდურესად ავარიულ მდგომარეობაშია და საკულტო ნაგებობა, რომელიც დედაქალაქის სახეა და ადრე სოხუმის სითბოსა და ენერგიას წარმოადგენდა ამჟამად უსიცოცხლოა. პროექტიც სწორედ „ამრა“-ს გაცოცხლებას ემსახურება. „ჩემი თვალით დანახულ აფხაზეთ"-ში საკულტო ნაგებობა კვლავ ლივლივებს ზღვაზე, ისევ ხალხითაა სავსე და კვლავ მასპინძლობს ხელოვან ადამიანებს.

პროექტი „ვისწავლოთ და გავაცოცხლოთ ერთად“ მნიშვნელოვანია, რადგან ხელს შეუწყობს აფხაზი და ქართველი ახალგაზრდების დაახლოებას, ერთმანეთისთვის ცოდნის გაზიარებას და იმ შესაძლებლობების დანახვას, რომ პროგრესის გასაღები სწორედ ერთობლივ ძალისხევაშია. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ აფხაზი ახალგაზრდებისთვის ეს იქნება შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა 21-ე საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროფესიაში. გარდა ამისა, „ამრა“-ს გაცოცხლება აფხაზეთის ეკონომიკური გაძლიერებისაკენ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. „ჩემი თვალით დანახულ აფხაზეთ“-ში წლების შემდეგ კვლავ აენთება „მზე“ („ამრა“) სოხუმის ზღაზე.